საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

28/11/2025

MES 7 25 0001834775

# გადაწყვეტილება

## ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$ - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების და აკრედიტაციის დებულების $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ $27^5$-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$ - ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის №786844 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) საბჭომ 1.2 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაციის (კლასტერული რეკომენდებულია, საფუძვლიანად გადაიხედოს კურიკულუმის რუკები, რათა უზრუნველყოთ მკაფიო და თანმიმდევრული შესაბამისობა კურსის შინაარსსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს შორის) შინაარსის გათვალისწინებით, შეცვალა 1.2 კომპონენტის შეფასება და შეაფასა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ბ) საბჭომ 1.5 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების და დაკორექტირდეს შეფასების კრიტერიუმები, გაიწეროს რა შემთხვევაში იწერება თითოეული ქულა." შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ნაცვლად მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან.

გ) საბჭომ 2.1. კომპონენტში დაემატა რეკომენდაცია და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა განიხილოს და მკაფიოდ განსაზღვროს დაშვების წინაპირობები, დააზუსტოს, მოიცავს თუ არა შიდა გამოცდა კონკრეტულ ენობრივ მოთხოვნებს და დაადგინოს პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელი აკადემიური საფუძველი.

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

**გადაწყვიტა**:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "სურსათის ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით - 2029 წლის 14 ნოემბრამდე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 28 ნოემბრის სხდომის №1692602 ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

**რეკომენდაციები:**.

- რეკომენდებულია, საფუძვლიანად გადაიხედოს კურიკულუმის რუკები, რათა უზრუნველყოთ მკაფიო და თანმიმდევრული შესაბამისობა კურსის შინაარსსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს შორის;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსების შინაარსი არსებული გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით (მაგალითად, ფიზიკური და ქიმიური კონტროლის მეთოდების კურსში), რათა უზრუნველყოთ სწავლის პროგრესია და თავიდან აიცილოთ შინაარსის დუბლირება;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ დანერგოს სისტემატური მექანიზმი, რომელიც რეგულარულად შეაფასებს სასწავლო მასალის ხარისხს, შესაბამისობასა და აქტუალობას. ასეთ სფეროებში, როგორიცაა სურსათის ტექნოლოგია, მოძველებული ან ზედმეტად ზოგადი მასალების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების და დაკორექტირდეს შეფასების კრიტერიუმები, გაიწეროს რა შემთხვევაში იწერება თითოეული ქულა;
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა განიხილოს და მკაფიოდ განსაზღვროს დაშვების წინაპირობები, დააზუსტოს, მოიცავს თუ არა შიდა გამოცდა კონკრეტულ ენობრივ მოთხოვნებს და დაადგინოს პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელი აკადემიური საფუძველი;
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია ხელმძღვანელების დანიშვნის პროცედურები, რეკომენდებულია, შეიქმნას ხელმძღვანელის შერჩევის, დამტკიცებისა და შეცვლის გამჭვირვალე და ერთიანი მექანიზმი. ამისთვის შეიძლება შემუშავდეს სტუდენტის განცხადების ფორმა და ოფიციალური შეთანხმების შაბლონი, რომელსაც ყველა მხარე მოაწერს ხელს;
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა. კერძოდ, რეკომენდებულია მკაფიოდ გაიმიჯნოს რეცენზენტისა და ხელმძღვანელის როლები საბოლოო შეფასებაში, გაიზარდოს დამოუკიდებელი წევრების რაოდენობა კომისიაში და ქულების დადგენის პროცესი გახდეს გამჭვირვალე. აღნიშნული ცვლილებები შეამცირებს ინტერესთა კონფლიქტის რისკს და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, სამართლიანობასა და დროულ შეფასებას;
- ანალიზის საფუძველზე რეკომენდებულია, საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა გააძლიეროს შემოწმების („შეამოწმე) და კორექტირების („იმოქმედე") ეტაპები ხარისხის მართვის ერთიან სისტემაში. ამისთვის მნიშვნელოვანია სტრუქტურული ერთეულების უკეთესი კოორდინაცია, დეტალური მიმოხილვის პროცესის დანერგვა და შეფასებების შედეგად მიღებული მონაცემების დროული და სისტემატური გამოყენება კონკრეტული გაუმჯობესებების მისაღწევად;
- რეკომენდებულია, ოფიციალურად შემუშავდეს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, რომელიც მკაფიოდ აღწერს, როგორ უნდა მოხდეს კეთილსინდისიერების დარღვევების პრევენცია და მართვა.
- რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს.

- რეკომენდებულია, მომავალში თვითშეფასებისა და პროგრამის მონიტორინგის პროცესები განხორციელდეს ხარისხის გაუმჯობესების სტრუქტურირებული ჩარჩოს საფუძველზე, რომელიც მოიცავს SWOT ანალიზს ან მსგავს მიდგომებს და ითვალისწინებს გასაუმჯობესებელ სფეროებს;
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები კითხვარების გაუმჯობესებით, რათა მიიღოთ დეტალური უკუკავშირი არა მხოლოდ სტუდენტებისა და დამსაქმებლებისგან, არამედ ლექტორებისგანაც;
- რეკომენდებულია, გაითვალისწინოთ მიღებული უკუკავშირი სილაბუსების განხილვისა და დახვეწის პროცესში, რათა უზრუნველყოთ პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესება;

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 14 ნოემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის $24^1$-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე